# ბორჯომი

18 აგვისტო
ხუთშაბათი
2022 წელი
№33 (9243)
ფასი 40 თეთრი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან


## საკოორდინაციო შეხვედრა ბაკურიანში

**ბაკურიანში** საკოორდინაციო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი **ირაკლი ქარსელაძე,** მინისტრის მოადგილე **კობა გაბუნია**, სამცხე-ჯავახეთის გუბერნიის, ადგილობრივი ხელისუფლების, მუნიციპალური განვითარების ფონდის, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის, საგზაო დეპარტამენტისა და ბაკურიანის განვითარების სააგენტოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეხვედრის მიზანს ბაკურიანში მიმდინარე პროექტების განხილვა და სამომავლო აქტივობების დაგეგმვა წარმოადგენდა.

სამუშაო შეხვედრაზე ბაკურიანში არსებულ იმ პრობლემებზე ისაუბრეს, რომელთა მოგვარებაც დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს. როგორც მინისტრმა, **ირაკლი ქარსელაძემ** აღნიშნა, აუცილებელია მოხდეს საჰაერო კომუნიკაციების მიწისქვეშ ჩატანა და რაც მთავარია, წყლისა და წყალარინების საკითხის მოგვარება, რათა ბაკურიანი სრული მზადყოფნით შეხვდეს მოახლოებულ მსოფლიო ჩემპიონატს.



შეხვედრის შემდგომ მინისტრმა და შეხვედრის მონაწილეებმა ადგილზე მოინახულეს მიმდინარე პროექტები - დიდველის გზა და ცენტრალური პარკი, რომლის რეაბილიტაციაც აქტიურ ფაზაშია, ასევე გაეცნენ ბაკურიანის განვითარების სააგენტოს მიერ დაგეგმილ პროექტს, რომლის მიხედვითაც ცენტრალურ ქუჩაზე ძველი ღობეების და ჯიხურების ახლით შეცვლა უნდა განხორციელდეს.

აღნიშნული პროექტები პრემიერ-მინისტრის მერ ინიცირებული „განახლებული რეგიონების“ პროექტის ფარგლებში ხორციელდება.

## მიმდინარეობს შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია



**საკურორტო** სოფელ ტბაზე და სადგერში, შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

სოფელ სადგერში 302 გრძივი ასფალტის გზა მოეწყობა, ხოლო სოფელ ტბაზე 145 გრძივი მეტრი ბეტონის საფარი. ასევე, გზის მოწყობის პარალელურად მიმდინარეობს სანიაღვრე არხების მოწყობა.

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 266 487 ლარია გამოყოფილი.

### გვიყვარდეს ჩვენი ქალაქი

## ...ვარდის მაღსა გარდვიხედე!!!

**ბორჯომი** რომ საქართველოში ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია, ამაზე არავინ დავობს. აქ ხომ ყველა ადგილი თუ ქუჩა საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სტილითა და არქიტექტურითაა უნიკალური და გამორჩეული. მნიშვნელოვანია ისიც, თუ როგორ უფრთხილდება და უვლის ადამიანი თავის საცხოვრისს, იმ გარემოს, სადაც ცხოვრობს, როგორ ცდილობს მის უკეთესად და კიდევ უფრო განსხვავებულად, უკეთესად წარმოჩენას.

ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ხშირად მიწევს ბორჯომის სხვადასხვა უბნებში გადაადგილება. განსაკუთრებით კი ფეხით სიარული მიყვარს. ჩემ სოციალურ გვერდს ვინც ადევნებს თვალს, ნახავს, რომ ხშირად მიდევს ჩვენი ულამაზესი ბორჯომის ქუჩებისა თუ სხვადასხვა ადგილების ფოტო და ვიდეო მასალა. ამას წინათ პარკში საკმაოდ პრობლემური საკითხის გასაშუქებლად გახლდით და გზად კოსტავასა და ქეთევან წამებულის ქუჩაზე მომიწია გავლა. კოსტავას ქუჩის ერთ-ერთი ულამაზესი ეზოსა და მის მეპატრონეზე ქალბატონ **თაკო პატეიშვილზე** წლების წინ გამოვაქვეყნე წერილი და ჩვენ მკითხველებსაც კარგად ემახსოვრებათ. თუმცა, კოსტავას ქუჩას კიდევ ჰყავს რამდენიმე გამორჩეული მკვიდრი, რომელთა ეზოებიც უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. ექიმი-სტომატოლოგის **როზა გალუსტიანი-პეტროსიანის** ულამაზესი ეზო, თავისი უმშვენიერესი, მარადმწვანე თუ სეზონისათვის შესაფერისი მცენარეებიით, ფერადი სურნელოვანი ვარდებითა და ეზოს კუთხეში, კედელზე შესრულებული ორიგინალური პანოთი, უმალ იქცევს გამვლელების ყურადღებას. ამ ულამაზესი ეზოდან სულ რამდენიმე ნაბიჯშია **ეთერ გოგოლაძე-მელიქიშვილის** მშვენიერი ეზოც. საკუთარი ხელით აქვს გაკეთებული ყვავილების ბილიკი, რომელსაც ასევე საკუთარი ხელით შექმნილი ქვის პატარა ღობე აკრავს. ბრტყელი ქვისგან დამზადებული სოკოს ფორმის პატარა სკამი, რომელიც წითელი საღებავითა და თეთრი წინწკლებითაა შესრულებული განსხვავებულ სილამაზესა და მყუდროებას მატებს ისედაც მყუდრო და მშვიდ გარემოს.



ქეთევან წამებულის ქუჩას კი **მაყვალა ჩადუნელი-სანდაძის** სურნელოვანი ვარდების ხეივანი ამშვენებს, ბამბუკისაგან დამზადებული ღობე, სხვადასხვა ჯიშის ვარდები თუ ყვავილები საოცარ სიმშვიდეს ქმნის. თეთრი ვარდების ხეივანი ერთიანად ამშვენებს როგორც სახლის ეზოს, ასევე ეზოს გარე სივრცეს, ქუჩის მხარეს. ამ საოცარ ეზოებს გვერდს გულგრილად ნამდვილად ვერ აუვლით. თითოეული მათგანი მყუდროების, სიმშვიდისა და რაც მთავარია, სიამაყის გრძნობას აღძრავს პირადად ჩემში. როგორი სასიამოვნოა მართლაც თითოეული მათგანის ხილვა? რამდენი შრომა და ენერგიაა ჩადებული თითოეული ეზოს მოვლა-პატრონობაში?

უდიდესი პატივისცემა თითოეული ეზოს მეპატრონეს იმის გამო, თუ როგორ ცდილობენ, გარემო, სადაც ცხოვრობენ გაალამაზონ და სხვებისთვისაც მოსაწონი და შესამჩნევი გახადონ.

**P.S. ნამდვილად კარგი ინიციატივა და წახალისება იქნებოდა, თუკი წელიწადში ერთხელ მუნიციპალიტეტი კონკურსის წესით საუკეთესო ეზოს გამოავლენს და მოწესრიგებული ეზოს მფლობელს დააჯილდოვებს. ეს ერთგვარი მოტივაცია იქნებოდა მოსახლეობისთვის, რომ საკუთარი ეზოები სხვებისთვისაც მოსაწონი გახადონ. დაე, სილამაზეც, ისევე როგორც სიკეთეც გადამდები ყოფილიყოს.**



მოამზადა **ნატო მელიქიძემ**

## გილოცავთ დიდგორობას - ქართველთა გამარჯვების დღეს!




**„ძლევაი საკვირველი“** საქართველოს ძლიერების, ერთიანობის, სამშობლოსათვის ბრძოლისა და თავდადების სიმბოლოა. საუკუნეთა განმავლობაში სწორედ დიდგორის მემკვიდრეობა განსაზღვრავს ჩვენს ეროვნულ თვითშეგნებას და რწმენას, რომ ერისა და ბერის ერთად დგომით, ქვეყნის სიყვარულით, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ღირებულებათა ერთგულებით ჩვენ შევძლებთ ყველა გამოწვევის დაძლევას, ქვეყნის გამთლიანებას და ჩვენი ისტორიული მიზნების მიღწევას.

გამთლიანებას, გაძლიერებას და წინსვლას ვუსურვებ ჩვენს სამშობლოს!

## ხაშური-ახალციხე-ვალეს გზის კეთილმოწყობა გრძელდება

**საქართველოს** რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, საერთაშორისო მნიშვნელობის ხაშური-ახალციხე-ვალეს საავტომობილო გზაზე, ჯამში 7 კმ-ზე სარეაბილიტაციო სამუშაოებს ინტენსიურ რეჟიმში ახორციელებს.



სარეაბილიტაციო გზა ბორჯომის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. პირველი მონაკვეთი სოფელ ახალდაბის ტერიტორიიდან იწყება და სოფელ კორტანეთთან სრულდება, ხოლო მეორე მონაკვეთი რველის მახლობლად იწყება და გრძელდება ბორჯომში, დავით აღმაშენებლის ქუჩის №40-მდე.

რეაბილიტაციის პროექტი, გზის სავალ ნაწილზე ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობას, ერთი ხიდის, ხელოვნური ნაგებობების რეაბილიტაციასა და ახლების მშენებლობას, დახურული სანიაღვრე ქსელის მოწყობას, არსებული ბეტონის საყრდენი კედლების შეკეთებასა და გაბიონის ქვედა საყრდენი კედლის მოწყობას ითვალისწინებს. ასევე, განხორციელდება ადგილობრივ გზებთან მიერთებებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ეზოში შესასვლელების, ბორდიურების და ტროტუარების, ავტობუსის გასაჩერებელი მოედნებისა და მგზავრების მოსაცდელების, საგზაო ნიშნების მოწყობა და გზის სავალი ნაწილის მონიშვნა.

## დაათვალიერეს ინფრასტრუქტურული პროექტები



**ბორჯომის** მერმა **ოთარ არბოლიშვილმა** და მერის მოადგილემ **გიორგი ტაბატაძემ** ბორჯომის მუნიციპალიტეტში მიმდინარე მაშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერეს.

ბორჯომში ინფრასტრუქტურული პროექტები რეგიონული განვითარების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება.

ამ ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

სააკაძის №2, აღმაშენებლის №35, მესხეთის №35 და №61-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადების რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაწყებული სახელმწიფო პროგრამის „განახლებული რეგიონები“ ფარგლებში, ბორჯომის მუნიციპალიტეტში 2 პროექტი ხორციელდება. პროგრამის ფარგლებში ქალაქ ბორჯომში მერაბ კოსტავას სახელობის მოედნის და სკვერის განახლება-რეაბილიტაცია მიმდინარეობს. პროექტის ღირებულება 4 658 778 ლარს შეადგენს.

კოსტავას სახელობის ბაღის რეაბილიტაციის ფარგლებში ტერიტორია დაიყო მოსასვენებელ და გასართობ სივრცეებად. გასართობ სივრცეებში საბავშვო მოედანი, ჭადრაკის მოედანი და ღია კინოთეატრი მოეწყობა. ტერიტორია გალამაზდება შადრევნებით და დეკორატიული განათებებით. ფუნქციური ზონები ერთმანეთს დაუკავშირდება გრანიტის ქვაფენილით, რომელიც განათებული იქნება ლამპიონებით. ტერიტორიაზე განთავსდება სკამები და სასმელი წყლის ბიუვეტები.

კოსტავას სახელობის მოედნის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, გზის სავალი ნაწილი ქვაფენილით მოპირკეთდა, ფეხით სავალ ნაწილზე გრანიტის ფილები დაიგო, ასევე მოეწყობა სკვერი.

## ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე - ბორჯომში

**ბორჯომში** ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე კულტურული და სპორტული ღონისძიებებით აღინიშნა.

ბორჯომის ცენტრალურ (ისტორიულ) პარკში, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ინსტრუმენტულმა ტრიომ, ღია ცის ქვეშ კლასიკურ ნაწარმოებები შეასრულა.



ბორჯომის **ჯემალ ზეინკლიშვილის** სახელობის სტადიონზე, მასტერ ლიგის ეგიდით ფეხბურთის 7X7-ზე ჩემპიონატის ფინალი გაიმართა.

დაძაბული მატჩი პარკის საფეხბურთო გუნდის გამარჯვებით დასრულდა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ **გიორგი ტაბატაძემ,** კულტურის დარგში მერის მრჩეველმა **გიორგი ბუგიანიშვილმა,** კულტურის განყოფილების ხელმძღვანელმა **შალვა გოგოლაძემ** და საკრებულოს დეპუტატმა **მამუკა ხითარიშვილმა** გამარჯვებული გუნდის წევრები მედლებით, სიგელებით, თასითა და საფეხბურთე ფორმებით დააჯილდოვეს, ასევე ბორჯომის მერიისგან პირველ ადგილზე გასულ გუნდს 900 ლარი, მეორე ადგილზე გასულ გუნდს 600 ლარი, ხოლო მესამე ადგილზე გასულ გუნდს 300 ლარი ჩაერიცხათ.

ახალდაბაში ფეხბურთში უბნებს შორის ჩემპიონატი გაიმართა. გამარჯვება აღმაშენებლის ქუჩის გუნდმა მოიპოვა. გამარჯვებული გუნდის წევრები მედლებით, სიგელები, თასით და ფულადი პრემიით დაჯილდოვდნენ.

## რესპუბლიკური პრესის ფურცლებიდან

# მზე პირს იბანს მკურნალ წყალთა შადრევნით

**ჩვენი გაზეთის მკითხველთათვის მეტად საინტერესო თემაზე ქართული წარმოების განვითარებასა და ისტორიაზე ვრცლად გვესაუბრა საქართველოს ბიზნესის უნივერსიტეტის აგრარული და ბიოტექნიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი, ჩვენი გაზეთის ექსპერტი მალხაზ დოლიძე.**

ამჯერად ბატონ მალხაზს მსოფლიოში ისეთ აღიარებულ ქართულ ბრენდებზე ვთხოვეთ საუბარი, როგორიცაა „ლაღიძისა“ და ქართული მინერალური წყლები.

● **ბატონო მალხაზ, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ყველას გვესმოდა ასეთი ფრაზა - ოღონდ დამოუკიდებლები ვიყოთ და მარტო ჩვენი ბორჯომი, ღვინო და მწვანილი გვარჩენსო. ეს რა თქმა უნდა, ქართული ღვინისა და მინერალური წყლების მსოფლიო აღიარებიდან იყო ასე თამამად ნათქვამი, მაგრამ იმ დროისთვის ალბათ „ლაღიძის წყალი“ ყველაზე პოპულარული გახლდათ დედამიწის მეექვსედზე გადაჭიმულ უზარმაზარ იმპერიაში.**

- ლაღიძის წყლები, ანუ შემდგომში ლიმონათი, როგორც მას სტალინმა შეარქვა. XIX საუკუნის მიწურულიდან არის რუსეთის იმპერიაში ცნობილი და შემდგომ მთელ მსოფლიოში ერთ-ერთ პოპულარულ სასმელად აღიარებული. საბჭოთა დროს იშვიათად ნახავდით ადამიანს, რომელიც საქართველოში ჩამოსვლისას და რუსთაველის პროსპექტზე ლაღიძის წყალი არ დაეჭაშნიკებინა. ლაღიძის წყლით მოხიბლული ესენინი, ეგზუპერი და ცნობილი პოეტები ამ სასმელს ლექსებსაც კი უძღვნიდნენ.

ცნობილი მეწარმე და მეცენატი მიტროფანე ლაღიძე ღარიბი იმერელი აზნაურის შვილი გახლდათ, რომელიც 14 წლის ასაკში ქუთაისში პეტრე ყოყოჩაშვილისა და პოლონელი ივანოვსკის აფთიაქში მოეწყო შეგირდად. აფთიაქ წამლების გარდა ტკბილ წვენებსაც ამზადებდა. ივანოვსკის გარდაცვალების შემდეგ სასმელის წარმოებას მიტროფანე გაუძღვა. ჯერ საზღვარგარეთიდან შემოტანილი სხვადასხვა ესენციებისგან ამზადებდა გამაგრილებელ სასმელს, ექსპერიმენტებისა და დაუღალავი შრომის შედეგად ბალახისა და ადგილობრივი ხილის ნედლეულისგან დაიწყო ტკბილი - გამაგრილებელი წვენების შექმნა პირველად ამხანაგობა დაარსა.

სასმელის სპეციფიკიდან გამომდინარე, მას საუკეთესო პროდუქცია სჭირდებოდა და, როგორც ცნობილია ხილის მოყვანის არეალსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, მარწყვსა და ჟოლოს ბორჯომში ყიდულობდა, ციტრუსებს - აფხაზეთში, ალუბალს - ქართლში, ვაშლსა და ატამს მხოლოდ გორში. ამბობენ, ვარდი ლაგოდეხის ნაკრძალიდან ჩამოჰქონდაო. პირველი, მცირე ზომის ქარხანა 1900 წელს აუგია ქუთაისში, ორი წლის შემდეგ საყინულეც და ახალი ქარხანაც ააგო, რომელიც ელექტრონით იყო განათებული და როგორც ამბობენ, დღეში 500 ფუთამდე ყინულსაც ამზადებდნენო.

- ქუთაისიდან დაწყებული გამაგრილებელი წყლის პოპულარობა მთელ საქართველოსაც მოედო.. ,

- ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მხარდაჭერით, რომლებიც დიდ პატივს სცემდნენ მიტროფანეს და ქართული წარმოების განვითარებაზეც ზრუნავდნენ, სასმელების წარმოება თბილისშიც დაიწყო და მაშინდელ გოლოვინის პროსპექტზე (რუსთაველის №24) „ლაღიძის წყლების“ მაღაზია გაიხსნა. თბილისში გადმოსვლის შემდეგ „ლაღიძის წყლები“ მთელ საქართველოში პოპულარული გახდა და მალე საერთაშორისო აღიარებაც მოიპოვა. 1913 წელს ვენის საერთაშორისო გამოფენაზე ოქროს მედალი აიღო, 1914 წელს პეტერბურგში კი უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა. რევოლუციამდე მიტროფანე ლაღიძე სამეფო კარის ექსკლუზიურ მიმწოდებლად ითვლებოდა, რადგან რომანოვები დიდად აფასებდნენ ამ სასმელს.



● **ამბობენ, სტალინი ლაღიძის პროდუქციას დიდად აფასებდაო.**

- არა მარტო სტალინი, თუმცა სტალინის დამსახურებაა, რომ იალტის კონფერენციაზე მაგიდას ლაღიძის წყალი ამშვენებდა. ამ სასმელით ისე მოხიბლულა რუზველტი, რომ ამერიკაში 2000 ბოთლიც წაუღია. სასმელი დიდი პოპულარობით სარგებლობდა საბჭოთა პოლიტელიტაში. ამბობენ, ხრუშჩოვს ფორთოხლის სასმელი მოსწონდა, ბრეჟნევს მსხლისა და ტარხუნის, მიქოიანს ლიმონისა და მსხლის, სტალინს - ლიმონის. თვით მიტროფანეც ლიმონს ანიჭებდა უპირატესობასო. 1952 წელს ტრუმენმა სტალინს ათასი ბოთლი „კოკა-კოლა“ გამოუგზავნა. ბელადმა საპასუხოდ ლაღიძის ლიმონათი, კერძოდ მსხლის, ლიმონის, ქლიავისა და შოკოლადის სასმლის დიდი პარტია გაუგზავნა.

● **თუ მოეწონათ ოკუპანტ-ბოლშევიკებს ქართული ბრენდი?**

- რა თქმა უნდა, მოეწონათ კი არა, აღფრთოვანებული დარჩნენ. სწორედ ამის გამო, 1952 წელს სტალინმა მიტროფანე ლაღიძე, რომელიც მაშინ 83 წლის გახლდათ, საბჭოთა კავშირის კვების მრეწველობასთან არსებული „გლავფრუქტვოდის“ გენერალურ კონსულტანტად დანიშნა. მიტროფანე ლაღიძეს ევალებოდა მთელ საბჭოეთში გამოშვებული სასმელების ხარისხის კონტროლი და მისი წარმოების გაუმჯობესება. მიტროფანე ლაღიძე 91 წლის ასაკში გარდაიცვალა.

● **ბატონო მალხაზ, მსოფლიო ბრენდად ჩვენი „ბორჯომი“ ითვლება, მასთან ერთად კი „ნაბეღლავი“ და სხვა ქართული მინერალური წყლები. მათი წარმოებაც მე-19 საუკუნეში დაიწყო.**

- რაც შეეხება ჩვენს „ბორჯომს“, მისი ისტორია, როგორც მეცნიერებმა დაადგინეს, თითქმის 2 ათას წელს ითვლის. ბორჯომის ხეობაში, არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილია ქვისა და ხისგან გაკეთებული აუზები და ძველი აბანო, სადაც აბაზანების მისაღებად მინერალურ წყალს იყენებდნენ. დიდი ივანე ჯავახიშვილი კი აღნიშნავს, რომ უძველეს დროში მას სასმელადაც იყენებდნენო. ჯარისკაცებმა აღმოჩენილი მინწყალი თავიანთ უფროსს მიუტანეს, პოლკის მეთაურს, რომელსაც კუჭის წყლული აწუხებდა, მანაც თავის თავზე გამოსცადა ეს წყალი და რამდენიმე დღეში ტკივილიც გაუყუჩდა. აღფრთოვანებულმა ჯარისკაცებს უბრძანა, რომ წყარო ქვებით შემოეღობათ, იქვე ქოხიც ააგო და ყველას ურჩია ეს წყალი დაელიათ. 12 წლის შემდეგ უკვე ქართველ გრენადერთა პოლკის ექიმმა, გვარად ამიროვმა (ამირიძე) წყლის სინჯები მოსკოვსა და პეტერბურგში გააგზავნა. სულ მალე ბორჯომის წყალზე და მის თვისებებზე რუსეთის ელიტა ალაპარაკდა და კავკასიის მთავარმართებელმა გენერალ-გუბერნატორმა ევგენი გოლოვინმა გადაწყვიტა თავისი ქალიშვილი ეკატერინე ბორჯომში ჩაეყვანა იგი აქ განიკურნა და მთავარმართებელმაც მინერალური წყლის პირველ წყაროს „ეკატერინსკი“ დაარქვა, მეორე წყაროს კი, რომელიც სულ მალე იპოვეს, თავისი სახელი „ევგენიევსკი“ უწოდა. ეს იყო 1841 წელს. ბორჯომის წარმოებაც ალბათ მაშინ დაიწყო...

- ცოტა მოგვიანებით, 1850 წელს ბორჯომში მინერალური წყლების პარკი დააარსეს 1894 წელს კი ბორჯომის პირველი ქარხანაც აშენდა. ორ წელიწადში მინის წარმოების ქარხანაც ააგეს, ბოთლებს აქ ხელით ბერავდნენ, რაც 1950 წლამდე გაგრძელდა. ბორჯომის სამკურნალო თვისებების შესახებ ცნობა მთელ რუსეთის იმპერიას მოედო. აშენდა სასახლეები, გაშენდა პარკები, სკვერები, სასტუმროები. 1894 წელს ხაშური-ბორჯომის რკინიგზაც გაიყვანეს. იმავე წელს მიხეილ რომანოვმა ჩამოსასხმელი ქარხნის მშენებლობაც დაასრულა.

თუ 1854 წელს 1800 ბოთლი ბორჯომიდან 80 პროცენტი გაჰქონდათ, XX საუკუნის დასაწყისში 300 ათასზე მეტი ბოთლის გატანა დაიწყეს, ხოლო 1913 წელს ეს რიცხვი 9 მილიონამდე გაიზარდა.

● **როგორ იმოქმედა საქართველოს გასაბჭოებამ „ბორჯომის“ წარმოებაზე?**

- სხვათა შორის სრულიად უმტკივნეულოდ, ამბობენ, რომ რომანოვი სტალინმა შეცვალაო. სტალინს ძალიან უყვარდა ბორჯომის წყალი და კრემლში ყველა ღონისძიებაზე „ბორჯომი“ იდგა მაგიდებზე. 1960 წლიდან ბორჯომით უცხოელებიც დაინტერესდნენ, დაიწყო მისი ექსპორტი საზღვარგარეთ. 1961 წლიდან იგი მსოფლიოს 15 ქვეყანაში გადიოოდა, მათ შორის ამერიკაში და მინერალური წყლებით ცნობილ და აღიარებულ საფრანგეთსა და ავსტრიაში. 1980 წლისთვის მისი წარმოება 400 მილიონ ბოთლამდე ავიდა.

● **„ბორჯომს“ პოპულარობით „ნაბეღლავიც“ დაეწია.**

- „ნაბეღლავის“ ისტორია უფრო ახალგაზრდულად გამოიყურება. კურორტი ნაბეღლავი გურიაში მდინარე გუბაზოულის ხეობაში მდებარეობს. მთაში, ბუნების ხელუხლებელ წიაღში მოსახლეობამ ყურადღება მიაქცია იმას, რომ ერთ-ერთ წყაროს ხარები ეტანებოდნენ. წყალს განსაკუთრებული გემო ჰქონდა. ეს წყარო 1905 წელს აღმოჩნდა. წყლის საბადო კი ქართველმა და უცხოელმა მკვლევარებმა XX საუკუნის დასაწყისში გამოიკვლიეს. თავდაპირველად წყლის ქიმიური შემადგენლობა 1921 წელს შეისწავლეს. 1930 წელს ქართველი და საბჭოთა მეცნიერების ხელმძღვანელობით ჰიდროლოგიური კვლევებიც ჩატარდა. წყლის ქარხნული წარმოება 1958 წელს დაიწყო. 1997 წელს წარმოებას სათავეში ჩაუდგა კომპანია „წყალი მარგებელი“, რომელმაც 2002 წლიდან „ნაბეღლავთან“ ერთად დაიწყო წყაროს წყლის „ბახმაროს“ ჩამოსხმა.

● **მსოფლიომ როდისღა გაიცნო ჩვენი „ნაბეღლავი“?**

- უცხოელ ტურისტებში „ნაბეღლავი“ არანაკლებ პოპულარული იყო, მაგრამ 2017 წელს „წყალი მარგებელმა“ ევროპაში წვენებისა და უალკოჰოლო სასმელების ერთ ერთ უმსხვილეს კომპანია „რაუხთან“ ერთობლივი წარმოების ხელშეკრულება დადო. იმავე წელს გაიხსნა ახალი, მრავალპროფილური უალკოჰოლო სასმელების ქარხანა, ამ ქარხანაში „ნაბეღლავისა“ და „ბახმაროს“ გარდა აწარმოებენ „რაუხის“ წვენებს, ცივ ჩაის, ლიმონათს და სხვადასხვა უალკოჰოლო სასმელებს. გაიზარდა ექსპორტი.

● **მადლობთ, ბატონო მალხაზ საინტერესო საუბრისთვის. მართალია, თავისუფლებამ „ბორჯომით“, „ლაღიძის წყლებით“ და მწვანილმა ჯერჯერობით ვერ გაგვამდიდრა, მაგრამ ამ სიმდიდრითა და მათი პოპულარობით მსოფლიო სახელი მაინც მოგვიტანა, ასე რომ, იმედს არ ვკარგავთ...**

**მამუკა ვაშაკიძე**

**(იბეჭდება მცირე შემოკლებით)**
**გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ №3-4 აგვისტო, 2022 წელი.**

# პრობლემების მოგვარებას წლები სჭირდება

**ადგილობრივი მუნიციპალიტეტისთვის რამდენიმე წელია ისევ და ისევ პრიორიტეტულ საკითხად რჩება რაიონში არსებული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. ამ მხრივ ყოველწლიურად უამრავი რამ კეთდება, თუმცა, მიუხედავად ამისა, უფრო მეტი გასაკეთებელია და საბედნიეროდ მოსახლეობა ამ ყოველივეს კარგად ხედავს. სეზონის დაწყებამდე და მის პარალელურადაც სხვადასხვა სახის სამუშაოები ჩატარდა და ახლაც მიმდინარეობს ახალი ობიექტების მშენებლობა.**

**რა მოსწონს ადგილობრივ მოსახლეობას და რას შეცვლიდნენ მუნიციპალიტეტში? ამ კითხვებით მივმართეთ როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე დამსვენებლებსაც, რადგანაც ზაფხულის სეზონი აქტიურ ფაზაშია და ქალაქში უამრავი სტუმარია. გთავაზობთ მათ მოსაზრებებს:**

**ნინა ნოზაძე:** - ახალშენში ვცხოვრობ. თბილისში ვმუშაობ, თუმცა ბორჯომში ზაფხულის პერიოდში ჩამოვდივარ და ძალიან მომწონს ეს. ბულვარი რომ გვაქვს უკვე ბორჯომელებს ზაფხულის ცხელი დღეების საღამოს საათებში შეგიძლია გახვიდე სუფთა ჰაერზე და დაისვენო, განიტვირთო. ფაქტიურად, წლების მანძილზე ამხელა სანაპირო ზოლი უპატრონოდ იყო მიტოვებული. იგება გზები, ილებება შენობების ფასადები, ლამაზდება სანაპირო ზოლიც. ირგვება ახალი მცენარეები. საკმაოდ დიდი ყურადღება ექცევა სანიტარულ წესრიგს. წინა წლებს თუ შევადარებთ, ნახავთ, რამდენი რამ გაკეთდა. ერთიანად კი ყველაფრის გაკეთება ვერ მოხერხდება. ყველაფერს დრო სჭირდება. იმედი მაქვს, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ბორჯომი კიდევ უფრო ლამაზი იქნება.

**თამრიკო მიქელაძე:** - ყველაზე დიდ პრობლემას და დისკომფორტს მიქმნიდა ქუჩაში მანქანების უმართავი, მოუწესრიგებელი მოძრაობა, რასაც ზებრა გადასასვლელის არარსებობა უწყობდა ხელს. დღესაც, სამსახურში წამოსული, ისევ დაძაბული მზერით ვაპირებდი ქუჩაზე გადასვლას, მაგრამ ჰოი, საოცრებავ, სადაც კი გადასვლა მომიხდა, ყველგან დახაზული დამხვდა. მიხარია, რომ ამ მიმართულებით მუშაობა დაუწყიათ და ცდილობენ, რომ მოსახლეობას არსებული პრობლემა მოუგვარონ. მაწუხებს დანაგვიანებული ქუჩები. ვითომ ხომ იგვება, ნაგავიც გააქვთ ყოველდღიურად, მაგრამ ქალაქის გარკვეულ მონაკვეთებზე ურნებთან დაყრილ ნაგავს ცუდ ამინდში ისევ ქარი აფრიალებს, რაც ყოვლად მიუღებელია. საწყენია, რომ ხალხსაც აკლია ამ მიმართულებით კულტურა, რომ ნაგავი ურნაში უნდა ჩაყარონ და არა მის გარეთ. კიდევ დეტალურად აღარ ჩამოვთვლი ყველაფერს, გასაკეთებელი მართლაც რომ ბევრია და წლები სჭირდება ყველაფერს, რომ მოგვარდეს.

**თამაზ კიკნაძე:** - ძალიან მაწუხებს კოსტავას ბაღში მიმდინარე ჯერ კიდევ დაუსრულებელი სამუშაოები. წლების მანძილზე ამ ადგილს არა და არ დაადგა საშველი, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოეწესრიგებინათ და ლამაზი იერსახე ქონოდა. როგორ შეიძლება შუა სეზონია და პარკი ასეთ მდგომარეობაშია. ერთადერთი ლამაზად ბაღში ადგილზე რეაბილიტირებული „კავალერის შენობა“ დგას. ან ძველი კინოთეატრი რას გავს? წლების წინ უამრავი ადამიანი მოდიოდა კინოთეატრში. კულტურული ცხოვრება წინ იყო. ახლა აღარაფერია.

**ნანა ცეცხლაძე,** დამსვენებელი: - ყოველ წელს ჩამოვდივარ ბორჯომში და ახალ-ახალი რაღაცეები მხვდება გაკეთებული, რაც ნამდვილად მისასალმებელია. პარკშიც შევნიშნე, რომ ბევრი რამაა გაკეთებული. თუმცა, რაც თვალში საცემია და სხვებისაგანაც მოვისმინე - საყვედური აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არის ის, რომ საღამოს საათებში იმდენადაა გადავსებული ურნები, რომ ნამდვილად არასასიამოვნო საყურებელია. კარგი იქნება, რომ სისუფთავის მხრივ წესრიგს კიდევ მეტი ყურადღება მიექცეს.

**რევაზ ლაცაბიძე,** დამსვენებელი: - ბორჯომი ჩემი დედულეთია და მიხარია აქ ჩამოსვლაც და დასვენებაც. მიუხედავად იმისა, რომ ყოველ ჩამოსვლაზე ვხედავ ბევრი რამ შეიცვალა უკეთესობისაკენ. ვისურვებდი, რომ გარკვეული მიმართულებებით კიდევ უფრო მეტი სამუშაოები ჩატარებულიყოს და ტურისტების მოზიდვის მხრივ უფრო მეტი რამ გაკეთდეს. მარტო ტარიფების გაძვირება არაა საკმარისი, როდესაც თანხას იხდი რაღაცაში, ხარისხიც და მომსახურებაც ანალოგიური უნდა მიიღო. ძალიან უხერხულია ამხელა მსოფლიო მნიშვნელობის პარკში, სადაც უამრავი ტურისტი ჩამოდის, საპირფარეშო ასეთ დონეზე იყოს მოუწესრიგებელი. არის რაღაც საკითხები, რაც იდეალურად უნდა იყოს წესრიგში და ამის უყურადღებოდ დატოვება უბრალოდ არ შეიძლება.

**ნესა ბაქრაძე,** დამსვენებელი: - დაახლოებით ერთი კვირაა ბორჯომში ვიმყოფები. ყოველ დილით ადრიანად მიწევს ქალაქის ცენტრში არსებულ გარე ბაზარში ხილ-ბოსტნეულის ყიდვა. თუმცა, რაც თვალში მხვდება, არის ის, რომ ხიდს რომ გადმოცდებით, ზუსტად იმ ადგილას დგას რამდენიმე მოზრდილი ნაგვის ურნა, სადაც ხილის და ბოსტნეულის ნარჩენები ყრია და აქაურობა უსიამოვნო სუნითაა გაჯერებული. არ ვიცი, ეს ვისი პრეროგატივაა, დასუფთავების სამსახურის, თუ გარემოვაჭრეების, თუმცა, როდესაც ასე ახლოს იყიდება საკვები პროდუქტი, როგორ შეიძლება, რომ ეს ურნები მოუწესრიგებელი იდგეს, რომელსაც უამრავი მწერი ქავა. ეს ადგილი დაავადებების ერთგვარი გადამტანიცაა. ურნების სიახლოვეს სამწუხაროდ, აღარ ვყიდულობ პროდუქტს.

**მარი გელაშვილი:** - ხეების მოჭრას რომ თავი დავანებოთ, საშინლად არ მომწონს „ორბიტის“ შენობა, რა ფერებში შეიღება, საერთოდ, შენობის არქიტექტურული სტილისაგან ყოვლად შეუსაბამობაში მოდის. ჩემთვის როგორც ჩვეულებრივი გამვლელის თვალისთვის, აუტანელია ამ შენობის ყურება. უბრალოდ კიდევ არის რაღაც-რაღაცეები, რაც არ მომწონს, მაგრამ ამ ბოლო დროს რაც გაკეთდა და ძალიან მტკივნეულად მახსენდება სწორედაც რომ „ორბიტის“ შენობაა. არ მეგონა ასე თუ დაამახინჯებდნენ.



**P.S. ჩვენ გამოკითხვაში დაახლობეით ოცდაათამდე ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. სამწუხაროდ, გაზეთის ფორმატიდან გამომდინარე ყველა მათგანის მოსაზრებას ვერ გიზიარებთ, თუმცა შეჯამების სახით გთავაზობთ იმ პრობლემურ საკითხებს, რაზეც უმრავლეოსობამ ერთხმად ისაუბრა, რომ აღნიშნული საკითხები უდიდეს პრობლემას წარმოადგენს და აუცილებლად მოსაგვარებელია.**

1. **უხარისხოდ დაგებული გზები;**
2. **მოუწესრიგებელი საპირფარეშოები მუნიციპალიტეტის მასშტაბით;**
3. **მუნიციპალიტეტში და მის ახლო მდებარე დაბა-სოფლებში არსებულ სკვერებში არსებული უკვე დაზიანებული ინფრასტრუქტურა;**
4. **დანაგვიანებული და მოუწესრიგებელი ქუჩები გარკვეულ პერიფერიებში;**
5. **უსახლკარო ცხოველების სიმრავლე მუნიციპალიტეტის მასშტაბით, რომლებიც უდიდეს საფრთხეს წარმოადგენენ მოსახლეობისათვის;**
6. **მაღალბინიანი საცხოვრებელ სახლებში წლების მანძილზე სარემონტო სადარბაზოები, რომლის გარემონტებასაც ამხანაგობები მხოლოდ საკუთარი ხარჯებით ვერ ახერხებენ;**
7. **რამდენიმე მაღალბინიან საცხოვრებელ სახლებში გაუმართავი ლიფტი, ან საერთოდ ლიფტის არ არსებობა;**
8. **მუნიციპალიტეტის მასშტაბით დაზიანებული ავტობუსის გაჩერებები;**
9. **ახალგაზრდების განტვირთვისათვის საჭირო და აუცილებელი სივრცის არ არსებობა;**
10. **გარევაჭრობა, რომელსაც წლებია არ დაადგა საშველი.**

გამოიკითხა **ნატო მელიქიძემ**

ვიცოდეთ ჩვენი ხეობის ისტორია

# კურორტოლოგიის მეცნიერების ფუძემდებელი

**რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, მედიცინის სამსახურის პოლკოვნიკი, ბორჯომის საპატიო მოქალაქე, მეცნიერებათა დოქტორი, კურორტოლოგიისა და საერთოდ ხეობის ისტორიის შესანიშნავი მცოდნე, ბატონი მიხეილ თუაური წერდა, რომ ბორჯომში მინერალური წყლის აღმოჩენის ნამდვილი ვერსია არა გორში დისლოცირებულ პოპოვის ცხენოსანთა პოლკის ჯარისკაცებს ეკუთვნოდა, არამედ სინამდვილეში საქმე სხვაგვარად იყოო:**

1810-1811 წლებში კავკასიის მთავარმართებელმა ტორმასოვმა, გენერალ ლეიტენანტ თამაზ ორბელიანის ქართულ ლაშქართან ერთად, (რომელიც შედგებოდა კონსტანტინე ბაგრატიონისა და ვახტანგ ორბელიანის მილიციის ნაწილებისგან), 1810 წლის ნოემბერში ალყა შემოარტყა ახალციხეს, სადაც მძვინვარებდა შავი ჭირის ეპიდემია. აღნიშნული დიაგნოზი დაადგინა გენერალ ტორმასოვის პოლკის მთავარმა ექიმმა **იოან (ივანე) ანტონის ძე პრიბილმა.** შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით 1810 წლის 26 ნოემბერს გენერალმა ტორმასოვმა ახალციხეს ალყა მოხსნა და უკან დაიხია მდინარე მტკვრის ხეობის გაუკაცრიალებული მარშრუტით, იმავე გზით, რომლითაც შეიჭრა ახალციხეში.



1810 წლის 4 დეკემბერს ტორმასოვის ჯარის ნაწილები დაბანაკდნენ მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, პეტრეს ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე. ხოლო 5 დეკემბერს ჯარის ნაწილებმა გადაინაცვლეს ყოფილი სასტუმრო „ბორჯომის" ტერიტორიაზე. სწორედ აქ შედგა ტორმასოვისა და გენერალ-ლეიტენანტ ორბელიანის პირველი გაცნობა ბუნების სასწაულებრივ მოვლენასთან, მინერალური წყლის ხმაურთან და რამდენიმე მეტრის სიმაღლეზე მის პულსირებულ ამოფრქვევებთან. პირველი შეფასება მიეკუთვნება კურორტოლოგიის საკითხებში კარგად გათვითცნობიერებულ პოლკის ექიმს იოან (ივანე) პრიბილს, რომელიც კარგად იცნობდა კურორტ კარლსბადის მინერალური წყლების სამკურნალო თვისებებს „მეორედ" აღმოჩენილი მინერალური წყლის ორგანოლეპტიკური გამოკვლევით (წყლის ფერი, სუნი, გემო, გამჭვირვალობა, ნალექის არსებობა, ტემპერატურა, აირების რაოდენობა და სხვა). მან დადებითი შეფასება მისცა აღმოჩენილ საბადოს მინერალურ წყლებს და მათ გამოყენებას დასალევად, აბაზანების მისაღებად და სამეურნეო დანიშნულებისათვის. შესწავლილი ჰქონდა რა კურორტოლოგია, პრაღის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლისას.

ამრიგად, თამაზ ორბელიანის ქართული ლაშქრის მეომრებმა და ტორმასოვის რუსმა ჯარისკაცებმა პირველებმა გაავრცელეს ხმა მტკვრის ხეობაში უნიკალური წყლის საბადოს არსებობაზე, რაც კარგად გახდა ცნობილი ქ. გორში 1816 წელს დისლოცირებული ცხენოსანთა პოლკის უფროსის პოლკოვნიკ პოპოვისათვის.

ანუ, ბორჯომის მინერალური წყლების საბადოების აღმოჩენა ეკუთვნის არა ქ. გორში დისლოცირებულ პოპოვის ცხენოსანთა პოლკის ჯარისკაცებს, რომლებმაც თითქოსდა მინწყალი 1829 წელს აღმოაჩინეს, არამედ 1810 წელს გენერალ თამაზ ორბელიანის ქართული ლაშქრის მეომრებსა და გენერალ ტორმასოვის ჯარისკაცებს, რომლებმაც პირველებმა ინახულეს მინერალური წყლის საბადოები.

პოლკოვნიკმა პოპოვმა კი რამდენიმე სამხედრო მიავლინა მინერალური წყლის საბადოს ახლომდებარე ტერიტორიაზე ხე-ტყის დასამზადებლად და საბადოზე დაკვირვებების ჩასატარებლად.

მართალია, პოპოვის ჯარისკაცებს არ აღმოუჩენიათ ბორჯომის მინერალური წყლის საბადოები, მაგრამ მათ დიდი როლი შეასრულეს ამ საბადოს მინერალური წყლის პოპულარიზაციაში, რაც მათი დიდი დამსახურებაა.

რაც შეეხება ი. პრიბილს. XIX საუკუნეში, რუსეთის არმია სამედიცინო პერსონალის ნაკლებობას განიცდიდა. 1781 წელს დაარსებული პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემია ვერ აკმაყოფილებდა ჯარის მოთხოვნას სამედიცინო კადრებზე, რის გამოც ხდებოდა სამოქალაქო ექიმების გასამხედროება.

ჩეხოსლოვაკიაში მყოფმა რუსეთის კონსულმა პრაღის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის კურსდამთავრებულს იოან (ივანე) პრიბილს შესთავაზა რუსეთის ჯარში სამსახური, რაზედაც მისი თანხმობა მიიღო. აკადემიის დამთავრებისას მას მიენიჭა მედიცინის მეცნიერების დოქტორის ხარისხი, დაინიშნა ქ. სარატოვის ეგერთა პოლკის მთავარ ექიმად.

1799 წელს პოლკის თბილისში ჩამოსვლის შემდეგ პრიბილი ინიშნება თბილისის სამხედრო ჰოსპიტალის უფროსად, სადაც 27 წელი იმსახურა. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა კავკასიაში შავი ჭირისა და ქოლერის ეპიდემიების ჩაქრობაში; მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის ომში, ყირიმში; მისი ინიციატივით დაიწყო თბილისში სამხედრო ჰოსპიტალის მშენებლობა; ჩამოაყალიბა კავკასიის სამედიცინო საზოგადოება (საქართველოს სამედიცინო აკადემია); დიდ ენერგიას უთმობდა აღმოსავლეთ საქართველოს კლიმატო-ბალნეო ფაქტორების დეტალურ შესწავლას; საკურორტო კადრების მომზადებას; მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობის გაუმჯობესების საკითხებს და სხვა.

ივანე პრიბილის დიდი გულისხმიერების რამდენიმე მაგალითის მოყვანა შეიძლება: აზერბაიჯანში ეპიდემიის ჩასაქრობად პრიბილმა მიატოვა თავისი ქორწილი და წავიდა ეპიდემიის ჩასაქრობად.

ტუბერკულოზით დაავადებულმა დედამ მასთან კონსულტაციის შემდეგ თავისი ახალშობილი დატოვა ი. პრიბილის კარზე, რომელიც მისი შვილობილი გახდა, თავის 5 შვილთან ერთად გაზარდა და უმაღლესი განათლებაც მიაღებინა.

გაეცნო რა მინერალური საბადოს ფუნქციონირებას, ი. პრიბილმა დეტალურად შეისწავლა აღმოსავლეთ საქართველოს კლიმატო-ბალნეო ფაქტორები (ციხიჯვარის, ბორჯომის, ახალციხის, ურაველის, აბასთუმნის მინერალური წყლების საბადოები, ახტალის ტალახი) და გამოიყენა ისინი ავადმყოფთა სამკურნალოდ; დააზუსტა მათი ჩვენებები და უკუჩვენებები, მოამზადა ახალგაზრდა კადრები კურორტოლოგიაში; ხელი შეუწყო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფართოდ გაშლას და სხვა.

ყოველგვარი გაზვიადების გარეშე უნდა ვაღიაროთ, რომ ი.პრიბილი ითვლება საქართველოში კურორტოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთ ფუძემდებლად.

**ცნობისათვის: ივანე პრიბილი თბილისში, ისნის რაიონში (ნავთლუღი) XIX საუკუნის 60-იან წლებში ცხოვრობდა და ქუჩასაც მისი სახელი დაერქვა. მისი სახელი დატანილია თბილისის 1895 წლის რუკაზე. 1923 წელს მას ბაღდათის ქუჩა ეწოდა.. აუცილებელი იქნება ბორჯომშიც აღინიშნოს პრიბილის ღვაწლი (მემორიალური დაფით მაინც), რადგან ის იყო ჩვენი ბორჯომის მინერალური წყლის პირველი შემფასებელი, აგრეთვე კლიმატო-ბალნეოლოგიური ფაქტორების კვლევა-განვითარების და ბორჯომში კურორტოლოგიის ფუძემდებელი.**

**მარიკა გელაშვილი,** არქიტექტორი

პრობლემების კვალდაკვალ

**ბორჯომში,** რობაქიძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ სამანქანო გზაზე, რომელიც ახალი უბნის მჭიდროდ დასახლებაში მდებარეობს, სამანქანო გზა კონკრეტულად იმ მონაკვეთზე გადის, სადაც ფეხით მოსიარულეები ყოველდღიურად გადაადგილდებიან. სწორედ სამანქანო გზა უნდა გადაჭრან ფეხით, რათა ტროტუარზე მოხვდნენ. ამ ადგილზე, ორი წლის წინ, დაამონტაჟეს ე.წ. სიჩქარის შემზღუდველი „პოლიციელი". ისიც მოსახლეობის დიდი ძალისხმევის შედეგად. მოსახლეობის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი ორი

## სახიფათო გზა აღსადგენია



წლის წინ მუნიციპალიტეტის მერის სახელზე დაიწერა და პრობლემაც სულ რამდენიმე დღეში აღმოიფხვრა. თუმცა, აღნიშნულ ადგილზე დამონტაჟებული ე.წ. დაწოლილი პოლიციელი ფაქტიურად, წელიწადნახევარი იყო ჩვეულ მდგომარეობაში, თუმცა არსებულ გადასასვლელს მხოლოდ გვერდითა ნაწილები შერჩა მთელი. შუა ნაწილი ფაქტიურად, აღარ არსებობს და მძღოლებიც ისევ ჩვეული მაღალი სისწრაფით აგრძელებენ ამ მონაკვეთზე მოძრაობას. დაუდევარ მძღოლებს რა გამოლევს? რომელთაც არც ზებრა გადასასვლელები შველით და არც „დაწოლილი პოლიციელი". თავხედი მძღოლები, არც უფროსი ასაკის მოსიარულეებს ერიდებიან და არც უმცროსებს. ფაქტიურად, ბავშვს არსებულ მონაკვეთზე დამოუკიდებლად ვერც გაუშვებ. აღნიშნული მონაკვეთის საშიშროებას დამატებით ისიც ქმნის, რომ სანამ გზაზე გადახვალთ, სწორედ ტროტუარის გაჩერებაზეა ე.წ. „ცენტრ პოინტის" ბინის კედელი, რომელიც წლების წინ რკინის ღობეებით იყო შემოსაზღვრული და ახალი უბნიდან მომავალი თუ მიმავალი მანქანა ფეხით მოსიარულეებისთვის შესამჩნევი იყო. თუმცა, გავიდა წლები და რკინის ღობის ნაცვლად აქ მაცხოვრებლებმა ბლოკის გალავანი აღმართეს, ახლა ფეხით მოსიარულეთათვის შეუმჩნეველი გახდა ახალი უბნიდან თუ მისი მიმართულებით მოძრავი ავტომანქანები. სამანქანო გზაზე ახალი უბნის ძირძველი მოსახლეობის გარდა, გადაადგილდება დევნილი მოსახლეობაც, რომლებიც ძველი სანატორიუმის ორ კორპუსში წლებია ცხოვრობენ. სკოლის პერიოდში კი მოსწავლეები ფეხით გადაადგილდებიან ქალაქის სკოლებისაკენ და მითუმეტეს, ამ ბოლო პერიოდში, როდესაც ბორჯომის №4 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია მიმდინარეობს და აღნიშნული სკოლის მოსწავლეებიც სწორედ მუნიციპლიტეტის სხავადასხვა სკოლებში არიან გადანაწილებულნი, ბევრი მათგანი სწორედ ამ სახიფათო გზით გადაადგილდებიან. გაზაფხულზე ადიდებულმა მტკვარმა არსებული დასახლებისაკენ მდებარე საყრდენი კედელი სერიოზულად დააზიანა. სამწუხაროდ, როგორც ბოლო პერიოდში გავრცელდა ინფორმაცია, მომავალ წლამდე აღნიშნულ მონაკვეთს აღდგენა არ უწერია. მოსახლეობა შიშით დადის, რომ მთელი გზის ნაწილიც არ ჩაიტანოს წყალმა და ამხელა მასშტაბური პრობლემის შემხედვარე ახლა ამაზეც უწევთ ფიქრი, რომ გზაზე მშვიდად ველარ გადასულან. იქნებ მუნიციპალიტეტმა მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა იმ საშიშ მონაკვეთზე, სადაც ყველაზე საფრთხილოა მანქანების მოძრაობა, დამატებითი ზებრა გადასასვლელი დახაზონ, უკვე არსებული ე.წ. „დაწოლილი პოლიციელი" კი ისევ აღადგინონ, რათა მოსახლეობამ თავისუფლად, ყოველგვარი შიშის გარეშე მოახერხოს გადაადგილება.

მოამზადა **ნატო მელიქიძე**

# ბიბლუსის ტურნე

**„ბიბლუსის" მაღაზიათა ქსელი და სათამაშოების მაღაზია „პეპელა" თავის ერთგულ მომხმარებელს უკვე წლებია რეგიონებში ხვდება. ამას წინათ მასპინძელი ქალაქი ბორჯომი გახლდათ. გასართობი პროგრამა ბავშვებისთვის 16 საათიდან დაიწყო. სათამაშოების მაღაზია „პეპელამ" ბავშვებს ზღაპრის გმირების მონაწილეობით საინტერესო თამაშები შესთავაზა მხიარული მუსიკისა და უამრავი ფერადი ბუშტის ფონზე. 17 საათიდან კი წიგნის ავტორებმა საკუთარი შემოქმედების შესახებ ისაუბრეს აუდიტორიის წინაშე. სტუმრები გახლდნენ მარიამ გურგენიშვილი წიგნების „მარგალიტების" ავტორი და გიორგი ხარაიშვილი ავტორი წიგნისა „ბნელია გზა".**



**მარიამ გურგენიშვილი:** - ჩემი წიგნი 2021 წელს „პალიტრა L"-მა გამოსცა. თავიდან იყო კონკურსი გამოცხადებული „გახდი ბესტსელერის ავტორი", რომლის ფარგლებშიც დავიწყე წერა, თუმცა დამუშავების პერიოდში ბევრი რამ შევცვალე. ფაქტიურად, იმ პირვანდელი ტექსტიდან მხოლოდ 20-30 გვერდი დარჩა. ჩემი წიგნი ჟანრობრივად განეკუთვნება საყმაწვილო ლიტერატურას და განკუთვნილია 14-15 წლის მოზარდებისთვის. როდესაც მე ვიყავი მათი ასაკის და ვკითხულობდი უცხოურენოვან ლიტარატურას, მაგალითად, როგორიცაა: „ანა ფრანკის დღიური", „გრძელფეხება მამილო", თუ „ჯეინ ეარი", ქართულ ლიტერატურაში ცოტა იყო ასეთი ჟანრის წიგნები და ჩემი პირველი რომანით ვეცადე, რომ სწორედ ეს დანაკლისი შემევსო. წიგნი, რომ გამოვიდა პირველად მეგონა, რომ მხოლოდ გოგონებს მოეწონებოდათ, მაგრამ ძალიან ბევრი ბიჭიც კითხულობს. საბედნიეროდ, წიგნი სხვადასხვა თაობის ადამიანებსაც მოეწონათ და ძალიან გახარებული ვართ ამით. აღნიშნული ტურნე მკითხველებთან ავტორების შეხვედრას მოიცავს, რაც მნიშვნელოვანია. მეც რეგიონიდან ვარ, კონკრეტულად კი კახეთიდან და აქედან გამომდინარე, როდესაც ჩვენთან ჩამოჰყავდათ ავტორები, უბედნიერესი ვიყავი ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი ჩვენი აუდიტორია საკმაოდ პატარა ასაკის იყო, მაინც ძალიან საინტერესო გამოვიდა. მოპატიჟებაც კი მივიღე რამდენიმე ადგილობრივისგან. ბორჯომში, ბავშვობაში ხშირად ჩამოვდიოდი, რადგანაც აქ ჩემი ნათესავები ცხოვრობენ და ძალიან მიყვარს ეს ქალაქი.



**გიორგი ხარაიშვილი:** – წიგნი ჟანრობრივად მოიცავს ფანტასტიკისა და საშინელებათა ელემენტებს, რომელიც გასული წლის ნოემბერში გამოიცა და რიგით პირველი წიგნია, ჩემთვის დებიუტია. მაქვს თარგმანებიც. ამ წიგნის მთავარი დანიშნულება კი გახლავთ ის, რომ წიგნი არის ყველა ასაკის მკითხველზე გათვლილი, გარდა ბავშვებისა. წიგნში არის საკმაოდ რთული სცენები, რომლის შინაარსსაც ბავშვები ფაქტიურად ვერ გაიგებენ. რეკომენდაციას რაც შეეხება წიგნის სირთულიდან გამომდინარე, 20 წლის ზემოთ მკითხველებს უკვე შეუძლიათ მარტივად გაიგონ. ჩემდა გასაკვირად რეგიონებში იშვიათია მსგავსი სახის შეხვედრები და თუნდაც, ამ ყველაფრიდან გამომდინარე მაინც საკამოდ კარგი საქმე კეთდება. რამდენიმე მკითხველიც რომ დავაინტერესოთ ესეც მნიშვნელოვანია. აუდიტორიასაც სიმართლე გითხრათ უფრო ასაკოვანს ველოდი. ბორჯომი ძალიან მომწონს, რადგანაც ვისვენებდი და ძალიან წყნარი და საკმაოდ მშვიდი ქალაქია. სწორედ ამიტომაც შევარჩიე ეს ქალაქი. ...14 ივლისს კი ლიტერატურულმა ტურნემ უკვე ბაკურიანში გადაინაცვლა. მხიარულმა ანიმატორებმა და ზღაპრის პერსონაჟებად გადაცმულმა გოგო-ბიჭებმა გვარიანად გაამხიარულეს და გაართეს იმ სავაჭრო ცენტრის დარბაზი, სადაც „ბიბლუსის" და „პეპელას" მაღაზიებია განთავსებული. დარბაზში ადგილობრივი ბავშვების გარდა მრავლად იყვნენ დაბის სტუმრები. სხვადასხვა აქტივობებით დატვირთული ღონისძიების პირველმა ნაწილმა ძალიან გაამხიარულა პატარა სტუმრები. მეორე ნახევარი ახალგაზრდა პოეტ თუთა ჯგუშიას დაეთმო. მან ბავშვებს თავისი ლექსების კრებული „კარგად ყოფნის წესები" წარუდგინა. პატარა მკითხველს ესაუბრა და მსურველებს წააკითხა კიდევაც ლექსები.

**თუთა ჯგუშია:** – ჩემი ლექსების კრებული 3-6 წლამდე ბავშვებისთვისაა განკუთვნილი. წესების დადგენა ბავშვებს ცოტა აშინებთ ხოლმე, მაგრამ წიგნში ზუსტად ის წესებია, რომელსაც თვითონ გვკარნახობენ ხშირად. მე მათ მაგალითებზე ვწერ, ვაყურადებ ყოველ მოძრაობას თუ აზრის გამოთქმას და ასე იბადება ჩემი ლექსებიც. ძალიან ბევრ სითბოს ვღებულობ ბავშვებისაგან და ამაზე მეტი დიდი სიხარული აბა რა უნდა იყოს.

„ბიბლუსში" თავმოყრილ ბავშვებსა და მშობლებს თუთამ კარგად მოქცევის რამდენიმე ხერხი ასწავლა: - გთხოვთ, ნუ ეტყვით თქვენს შვილს, რომ „აუა" მოვა და უკბენს, ჩვენ გვინდა, რომ მას ყველა ცოცხალი არსება უყვარდეს, ნუ შეაშინებთ ექიმებით და ნემსებით. ჩვენ მათ ვუხსნით, რომ ექიმები ჩვენს ჯანმრთელობაზე ზრუნავენ და ცდილობენ დიდხანს ვიცოცხლოთ, ნუ დააწყნარებთ ბავშვებს სიტყვებით: „აი, დედა მოდის", როცა დედა სამსახურშია. მან იცის, რომ როცა ეუბნებიან, დედა მოვა ხუთ წუთში, ე.ი. ის ძალიან მალე მოვა, ნუ „სცემთ" მაგიდას იმის გამო, რომ ბავშვმა მის კუთხეს თავი მიარტყა, ასე ის ისწავლის უსამართლოდ სხვების დასჯას.

მოამზადეს **რუსუდან სხირტლაძე და ნატო მელიქიძე**

# ვულოცავთ!



**ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, ჩვენი ხეობის ბაჯაღლო გულის ქალს, გულისხმიერს, უნიჭიერეს, უღალატო, თბილ, სიყვარულით სავსე ადამიანს, ქალბატონ ვიოლეტა ბალახაშვილს ვულოცავთ დაბადების 70 წელს. მრავალჟამიერ...**

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე, სოფლის მეურნეობის მართვის სკითხებში **თედო მელიქიძე.**

ძვირფასო ვიოლეტა! გილოცავ საიუბილეო თარიღს. მინდა გისურვო ყველაფერი კარგი, რაც კი ადამიანს სულისა და ხორცისათვის ესაჭიროება. იბედნიერე შენი საყვარელი დიდი ოჯახით და ყველა კარგის მსურველით. 70 წელი თქვენთვის ვიცი, რომ ხშირად უფრო ტკივილიანია ვიდრე სასიხარულო. ბავშვობიდანვე ობლად დარჩენილს, თქვენი ძვირფასი დედიკო, არაფერს გაკლებდათ, კიდევაც განებივრებდათ თავისი გადმოსახედიდან, სულნათელ კოლეგებთან და მეზობლებთან ერთად, მაგრამ თქვენი სატვირთველი ჯვარი იქიდანვე გქონდათ სატარებელი, რომელსაც ემატებოდა თქვენი მიზანდასახული სურვილი პირველობისთვის, რომ ყოფილიყავით საუკეთესო შვილი დედისა და მშობლიური სოფლისათვის. თქვენ მიაღწიეთ ამ მიზანს თქვენი საქმიანობით, რაც დასაფასებელია ჩვენი სოფლების მოსახლეობისაგან. მე არ ჩამოვთვლი იმ სიკეთეებს, რაც გაგიკეთებიათ თქვენი მოღვაწეობით, ბევრჯერ უანგაროდაც: საალმზდელო, საგანმანათლებლო, კულტურის და აწ უკვე პოლიტიკურ სფეროში. სიკეთის კეთებაში არ ჩამოგრჩებათ თქვენი საყვარელი შვილებიც. იხარეთ და იდღეგრძელეთ მრავალჟამიერ!!!

კეთილის მსურველი **მაყვალა მახათაძე** ტაძრისის ბიბლიოთეკარი

ბორჯომის საზოგადოებრივი დარბაზის წევრები ვულოცავთ ჩვენს ერთგულ და უღალატო მეგობარს, ბატონ თანგული ორთოიძის მეუღლეს ქალბატონ **ირინა გელაშვილ-ორთოიძეს** დაბადების 70 წლისთავს. გულწრფელად გვახარებს ამ შესანიშნავი ოჯახის და დიდებული შვილების, დედის და ღირსეული დიასახლისის მართლაც სახელოვანი და საამაყო იუბილე. ვუსურვებთ ბედნიერებას, სიკეთეს, ჯანმრთელობას და ღვთის წყალობას.

# მაკა ბლიაძის საიუბილეო საღამო



ბორჯომის ცენტრალურ (ისტორიული) პარკიში, ღია ცის ქვეშ, ბორჯომელი პოეტის **მაკა ბლიაძის** საიუბილეო საღამო გაიმართა.

საიუბილოე საღამოზე „თეატრალური კვარტეტის" წევრებმა, მაკა ბლიაძის ლექსებზე შექმნილი ყველასთვის კარგად ნაცნობი და საყვარელი ჰიტები შეასრულეს.

საიუბილეო საღამოს ესწრებოდნენ ბორჯომის მერის მრჩეველი კულტურის დარგში **გიორგი ბუგიანიშვილი**, ბაკურიანის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელი **ეკატერინე ორჯონიკიძე**, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ფერაძე** და ადგილობრივი თვითმართველობის წევრები.

საიუბილეო საღამო ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით გაიმართა.

# ბიჭიკო გელაშვილის გახსენება



ჩვენო ძვირფასო ბიჭიკო! – მიმდინარე წლის 28 აგვისტოს მარიამობის დღესასწაულის დღეს, 90 წლის გახდებოდი, მაგრამ ულმობელმა ავადმყოფობამ არ მოგვცა საშუალება ეს ლამაზი დღე საზეიმო ვითარებაში აღგვენიშნა.

ცრემლით, დარდით და ტკივილით მოახლოებულ შენს დაბადების დღეს, ჩვენო ტკბილო და სამაყო მეუღლევ, მამავ და ბაბუა უთუოდ აღვნიშნავთ, მოვალთ შენს საფლავზე ყვავილებით და სანთლებით, მუხლს მოვიდრეკთ შენი ხსოვნის წინაშე და პირობას გაძლევთ, შენს სახელს არასოდეს არ შევარცხვენთ. პირიქით კი იქნება, ყოველთვის ვიამაყებთ, რომ შენი მემკვიდრენი და შთამომავალნი ვართ. შენი წასვლით თითქოს დაცარიელდა სახლი, შენ ხომ სხვანაირი სიყვარულით, სიძლიერით და სითბოთი გვავსებდი ყველას... შენ ჩვენი ძალა და დიდი იმედი იყავი. ნათქვამია, დრო ყველაფრის მკურნალიაო... მაგრამ რაც მეტი დრო გადის, მით უფრო ძლიერდება ტკივილი, რასაც უშენობა ჰქვია. მონატრებაა ის გრძნობა, რომელიც ყოველ წუთს გვაგრძნობინებს, გვაფიქრებს შენზე.

ბორჯომს და ბორჯომელებს, შენი უბრალოებით, კაცური კაცობით, ადამიანობით დაამახსოვრე თავი. დღესაც იხსენებენ შენგან დათესილ მრავალ სიკეთეს, მხარში დგომას, შენ ხომ არავისგან არაფერს ელოდი, პირიქით კი იყო, სიკეთეს უანგაროდ გასცემდი.

გვჯერა, რომ შენი სპეტაკი სული ზეციურ სასუფეველში დაგიმკვიდრებს კუთვნილ ადგილს. უფალს ებარებოდე ჩვენო ტკბილო ადამიანო.

მეუღლე, შვილები **ოჯახებით**

## მეგობრის ხსოვნას

28 აგვისტოს ჩემი უფროსი მეგობრის ბატონ **ბიჭიკო გელაშვილის** დაბადების დღეა, რომლის განვლილმა ცხოვრებამ ღრმა კვალი დატოვა, როგორც ძვირფასი ოჯახის წევრების, ისე მეგობრების გულებში.

ბატონი ბიჭიკო ყოველთვის ამაყობდა, რომ მარიამობის დღესასწაულის დღეს იყო დაბადებული და დიდებულადაც აღნიშნავდა.

რა საშინელი განცდაა ჩემთვის, ავიღო კალამი და ვწერო იმ უდიდეს ტკივილზე, რასაც მისი გარდაცვალება ჰქვია, ჩვენმა მეგობრობამ ხუთ ათეულ წელზე მეტი გასტანა, ულმობელმა სიკვდილმა ყველაფერთან ერთად ეს სიამოვნებაც მოგვაკლო ყველას.

ნამდვილად მოგვაკლდა შსითბო, ერთგულება. ასაკის მიუხედავად, არ გავიწყდებოდა ნათესავ-მეგობრები, რისი საშუალებაც გქონდა, სიკეთეს უშურველად გასცემდი ყველგან და ყოველთვის. შესანიშნავი ოჯახი დატოვე, მეუღლე ქალბატონი ნანული ხშირად ავადმყოფობს, მაგრამ შენი ნატო და დათო ოჯახებით ყურადღებას არ აკლებენ.

28 აგვისტოს 90 წლის გახდებოდი, ოჯახის წევრებთან ერთად შენი ერთგული მეგობრებიც ამოვალთ შენს მოვლილ საფლავზე და შენივე დაწურული ღვინით გაგიხსენებთ, შესანდობარს ვიტყვით, მოგეფერებით.

და ბოლოს, უცნობი პოეტის ორი სტროფით დავამთავრებ ამ გახსენებას: *„უშენოდ ყველა მოწყენას მალავს,*

*და ცრემლიანი ფიქრებით ნამავს".*

სიყვარულით **თემურ ხუხუნაიშვილი**

# როინ ლურსმანაშვილის გახსენება



არიან ადამიანები, რომლებიც სიცოცხლეში აქ ცხოვრებას გვილამაზებენ და მათი გარდაცვალების შემდეგ იქ სიკვდილს გვიადვილებენ. ასე გვგონია, ჩვენზე წინ წასულები იქ გველოდებიან და ერთად გატარებულ დღეების სითბოს და ურთიერთსიყვარულს საიქიოში გავაგრძელებთ.

სწორედ ასეთი გულკეთილი, დიდი სიყვარულის და პატივისმცემელი პიროვნება გვინდა გავიხსენოთ, რომელმაც ამ ქვეყნიდან წასვლით დიდი სევდა და მწუხარება დაგვიტოვა.

დიახ, ჩვენს ერთგულ ძმაზე და უსაყვარლეს პიროვნებაზე გვინდა ხაზგასმით განვაცხადოთ. ერთი წელი გავიდა როინ ლურსმანაშვილის გარდაცვალებიდან, რომელმაც თან წაიღო ჩვენი დიდი ძმობისა და მეგობრობის სიყვარული. ბავშვობის წლებიდან ერთად მოვდიოდით, ერთად ვთამაშობდით ქუჩის ფეხბურთს. წამოვიზარდეთ და ჩვენი საყვარელი ქალაქის სახელს და ღირსებას ვიცავდით. ვინ მოთვლის რამდენი სიხარული მივანიჭეთ ჩვენს ერთგულ გულშემატკივრებს როინთან ერთად. ახლაც თვალწინ გვიდგას მისი თავგანწირული თამაში.

უღალატო მეგობარი დავკარგეთ, მაღალი პასუხისმგებლობის, თავაზიანი, ზრდილი, უბოროტო, სამეგობროდ მუდამ შემართული.

უდროოდ წავიდა იმ ქვეყანაში შესანიშნავი ოჯახი, ერთგული მეუღლე, შვილები და დიდი საძმო დაგვაობლა. მისი ხსოვნა ჩვენთვის დაუვიწყარია. ნათელში ამყოფოს ღმერთმა, მსუბუქი იყოს მის გულზე დაყრილი მშობლიური ბორჯომის მიწა, რომელიც ძალიან უყვარდა.

**მეგობრები.**

# მსახიობი ლეო ანთაძე – ბორჯომში

**ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის დარბაზში სახალხო არტისტი, ლამის 90 წლის ასაკს მიღწეული, ყველასთვის საყვარელი მსახიობი – ლეო ანთაძე სტუმრობდა.** საქართველოს ეროვნული ფილარმონიის დირექტორი, ბატონი **ლადო ხელაშვილი** ამ შემოქმედებითი საღამოს წამყვანად წარმოგვიდგა და მისასალმებელ სიტყვაში მოგვახსენა: „დამსახურებული არტისტი, ლეო ანთაძე ძალიან მალე 90 წლის გახდება. თეატრსა და კინოში მისი როლები ყოვლად შეუფასებელი განძია. მას ძალიან უყვარს ბორჯომი და იცით, რომ მომზადებული აქვს ბრწყინვალედ მონო სპექტაკლი „ბახტრიონი", რომლიდანაც დღეს ნაწყვეტს შემოგთავაზებთ, ასევე ის ნოდარ დუმბაძის დაუვიწყარ ნაწარმოებს: „მე, ბებია, ილიკო და აილარიონს" გაიხსენებს და გურამ დოჩანაშვილის ცნობილი ნაწარმოებიდან: „მდგმური" ეპიზოდს მოყვება. მისთვის მნიშვნელოვანია იუმორიც, ამიტომ ბატონი ლეო აკაკი ბელიაშვილის მოთხრობასაც გააცოცხლებს. დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ სამცხე-ჯავახეთის გუბერნიას, **ბესიკ ამირანაშვილს,** ბორჯომის მერიის კულტურის სამსახურს – შალვა გოგოლაძეს.



მართალია, დარბაზში ოციოდე მსმენელს თუ დათვლიდით, მაგრამ გულითადი ტაშით მოვიხმეთ სცენაზე მისი თაობის, მსახიობთა თანავარსკვლავედის უკანასკნელი მოჰიკანი, ბატონი **ლეო ანთაძე.** მხნედ დგას და არ ეტყობა 90-ს მიახლოვება. ჩვეული იუმორით მოგვესალმა, საყვარელი ბავშვობა გაიხსენა ქვიშხეთთან დაკავშირებული, სტუდენტობა, თავისი ჯეელობაც და ვაჟა ფშაველას „ბახტრიონმა" სრულიად ჩააჩუმა მაყურებელი და სმენად გადააქცია. მაინც რა გრძნობით, რა ჟრუანტელით, რა სიცხადით შეუძლია პროფესიონალ მსახიობს დაგანახოს ლუხუმისა და გველის ეპიზოდი; სადაც ჩვენდა გასაკვირად იცვლება გველური ბუნება და კეთილი ხდება – დაჭრილ ადამიანს უვლის. ბატონმა ლეომ თავისი ოსტატობითა და ამავდროულად უშუალობით საათნახევრიანი პროგრამა შემოგვთავაზა. საღამოს განტვირთვის და განწყობისთვის იზრუნეს სამუსიკო სკოლის მესვეურებმა: **მარინა ქიტიაშვილმა და მარინე რატიანმა.** არაჩვეულებრივად გადაგვიყვანა რეტრო მუსიკით სიმღერის შემსრულებელმა, ანსამბლ „ოქტავას" წევრმა, **ნინო გრიგალაშვილმა.**

მსახიობთან ფოტოსესიით დასრულდა ლამაზი საღამო. ბორჯომის კულტურის სამსახურს დიდი მადლობა და აქვე თხოვნაც, რომ რაც შიძლება ხშირად მოგვიწყონ შემოქმედებით საღამოები ისეთი პროფესიონალების მონაწილებით, როგორიცაა ბატონი **ლეო ანთაძე** და რაც მთავარია: განსაზღვრონ სწორად აუდიტორია. წესით, ამ შეხვედრაზე ძალიან ბევრი პედაგოგი და უფროსკლასელი უნდა ყოფილიყო.

**მონიკა ქანტურია**

# ნელი ჭელიძის მონატრება



ადამიანის სული ყველაზე ახლო ადამიანებისთვის თანმდევია. ეხები ნებისმიერ ნივთს, იხსენებ მის მიერ გაკეთებულ დიდ, თუ მცირე საქმეს და თვალწინ არყოფნის, მონატრების ტკივილი წარმოგიდგება. ქალბატონი ნელი ჭელიძე ბორჯომში ღირსეულ პედაგოგად ასოცირდება, რადგან წლების მანძილზე მასწავლებლობა იყო მისი მოწოდება, მოსწავლე იყო მისი ფიქრი და შთაგონების წყარო. 16 აგვისტო მისი დაბადების დღეა! ოჯახისთვის ეს არის გაუსაძლისი ტკივილისა და სევდის განცდა. ასეთი ადამიანი ძალიან იშვიათად მოსაძებნია: თავისი კულტურით, ერუდიციით, ტკბილმოუბარი, ყველასთვის რჩევის მიმცემი, მუდამ დამრიგებლური და შვილისთვის ხომ განუზომელია მისი დედობის სიღრმე და მისნაირი გულშემატკივარი. დაე, დიდხანს შეძლონ მისმა შთამომავლობამ გაიხსენოს ქალბატონი ნელი ჭელიძის ღვაწლი და იამაყონ მისი წარსულით.

**ოჯახი**

# ვოვა ბაბიაშვილის გახსენება



14 აგვისტოს ტკივილითა და უსაზღვრო მონატრებით სავსე ერთი წელი გავიდა უშენოდ. ნათქვამია, დრო ყველაფრის მკურნალიაო, თუმცა დრო არაფერსაც არ კურნავს. დღითიდღე უფრო გაუსაძლისი და აუტანელი ხდება უშენობით გამოწვეული ტკივილი. შენ ხომ ახლა გინდოდა ყველაზე მეტად რომ შვილებში და შვილიშვილებში გაგეხარა? მაგრამ უფლის ნებას წინ ვერაფერი აღუდგება და შენც მასთან გადაინაცვლე სამარადჟამოდ.

დატოვე დედა, ერთადერთი ძმა, შვილები და შვილიშვილები, ყველაზე ერთგული და მოსიყვარულე შვილის, ძმის, მამისა და პაპის გარეშე. ახლა კი ნუგეშად მხოლოდ შენ ფოტოსურათს შევცქერით და გინთებთ სანთლებს შენი სულის უკვდავსაყოფად.

იხსენებს **დედა ნათელა გაგლოშვილი, ძმა კობა ბაბიაშვილი, შვილები ნათია, დათო ბაბიაშვილები და შვილიშვილები.**



რაზმაძის ქუჩის მცხოვრები მეზობლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**სვეტა ცისკარაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ. №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში". ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქ. №57. borjomi@inbox.ru
რედაქტორი: ვალერიან ლომიძე